

ომი უკრაინაში, ყოველდღიური განახლებები 07.03.2022. 10-საათი

ჰუმანიტარული დერეფნები. რუსული ძალები აგრძელებენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესების დარღვევას: გრძელდება „მწვანე დერეფნების“ დაბომბვა, ტექნიკა და საბრძოლო მასალა განთავსდებულია ქალაქების საცხოვრებელ მოაკვეთებში, ოკუპირებული დასახლებების რიგ ქალაქებში, ჰუმანიტარული კრიზისია. იპრინში, კიევის ოლქში, რუსმა ძალებმა გამიზნულად დაბომბეს ხიდი რომელიც მშვიდობიანი მოქალაქეების ევაკუაციისათვის გამოიყენებოდა, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობა იბომბებოდა ევაკუაციის დროს დაშავდა 8 ადამიანი, მათ შორის 2 ბავშვი. სამ დღეზე მეტია რაც, ქალაქში მოსახლეობას არ მიეწოდება დენი, სასმელი წყალი და გათბობა. [იასნოროდკაში](#), კიევის რეგიონი, მშვიდობიანი მოქალაქეები, სოფლის დატოვებისას საგუშაგოსთან დახვრიტეს. მიმდინარე დაბომბვის გამო მარიუპოლიდან მოსახლეობის ევაკუაციის მეორე მცდელობა ჩაიშალა. ამჟამად ოფიციალური კიევი აწარმოებს მოლაპარაკებებს, მოსახლეობის ბურჯა და ჰოსტომელიდან ევაკუაციის თაობაზე, როგორც იპრინში ბურჯაშიც, კიევის რეგიონი, მოსახლეობას არ აქვს სასმელი წყალი და საკვები, ასევე მათ არ აქვთ საშუალება დატოვონ თავშესაფრები. [ჰოსტომელის მერი](#) დახვრიტეს მოხალისეებთან ერთად მოსახლეობის საკვებით მომარაგების დროს.

თავდასხმის ქვეშ მყოფი ქალაქები. საჭაერო განგაში 17 რეგიონში ერთად ისმოდა კვირას საღამოს 20:00-დან. დღის განმავლობაში [ვინიცის აეროპორტი](#) და ჰავრიშივკაში მდებარე სამხედრო ბაზა დაბომბეს 8 რაკეტით. რაკეტები [შავი ზღვის](#) ტერიტორიიდან გაემგა. ხარკოვზე თავდასხმა ისევ მიმდინარეობს. კვირას მრავალჯერადი სარაკეტო სისტემები დაუმიზნეს ხარკოვის ფიზიკისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის ეროვნული სამეცნიერო ცენტრი. აქტიურ საბრძოლო ზონაში ექცევა ბირთვული ენერჯო ცენტრი, სადაც 37 ბირთვული სანავის ცენტრია თავმოყრილი. ბირთვული ენერჯო ცენტრის დაზიანება ან განადგურებამ შეიძლება მასობრივი ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს. ღამით რუსული ძალები თავსდაესხნენ სამხრეთ სანაპიროს-თავდასხმამდე პრეზიდენტმა ზელინსკიმ გააკეთა განცხადება ოდესაზე შესაძლო თავდასხმის შესახებ, მას ეს ინფორმაცია მტრის ტაქტიკური რუკების მოპოვების შემდეგ ჰქონდა. ოდესის რეგიონში, სოფელი ტულზე დაიბომბა, ამ ლოკაციაზე ტაქტიკური ინფრასტრუქტურის არსებობის გამო. მიკოლაევი მშვიდობიანი მოსახლეობის ინფრასტრუქტურა დაიბომბა **BM-30 smersch** სარაკეტო სისტემით. მიკოლაევიზე თავდასხმა მნიშვნელოვანია სამხრეთ-უკრაინის ატომური ელექტროსადგურისკენ წინსვლისთვის. კრამატორსკში მინიმუმ 2 ადამიანი დაიღუპა და მრავალი დაზიანდა როდესაც რუსულმა ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს საცხოვრებელ კომპლექსს.

რუსულმა მედია საშუალება, „რია ნოვოსტიმ“ [ლიად გამოაცხადა](#) რუსული თავდაცვის სამინისტროს მიერ უკრაინის თავდაცვის ინდუსტრიაზე თავდასხმის შესახებ. თავდასხმის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა იმისთვის, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა და მუშები „ევაკუირდნენ“ სანარმოებიდან და წინააღმდეგობა გაუწიონ უკრაინის ხელისუფლების კონტროლს.

თვლიადვენეთ უკრაინაზე რუსეთისმიერ უკანასკნელი თავდასხმის [რუკას](#).

აქციები ოკუპაციის წინააღმდეგ. ხერსონის ოლქში ხალხი რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ გამოვიდა ხერსონში, ნოვა კახოვკაში, ნოვოლესიევკასა და კალანჩაკში, ასევე ლუგანსკის ოლქის ტროიცკის მცხოვრებლები. [ჩონგარში](#) ყირიმელი თათრები ქუჩებში გამოვიდნენ და რუსებს ყირიმის დატოვებისკენ მოუწოდეს.

პროვოკაციები. ვრცელდება ინფორმაცია რუსეთის მხრიდან უკრაინა-რუსეთის საზღვართან რუსული ქალაქების დაბომბვის შესახებ, გავრცელებული ცნობებით იგეგმება დაბომბილი ქალაქებიდან ვიდუო ტრანსლაცია და სამოქალაქო მსხვერპლის ჩვენება რათა აღნიშნული ფაქტი უკრაინის სამხედრო ძალებს დაბრალდეს. ეს რუსეთის მხარეს მისცემს საბაზს უფრო ფართო მასშტაბიანი სამხედრო ძალების მობილიზებისათვის. რუსულმა მხარემ მსგავსი ტაქტიკა უკვე გამოიყენა, ავღანეთში, ჩეჩნეთში და აფხაზეთში. ლიპცში, ხარკოვის რეგიონი, მაოკუპირებელი ძალები მშვიდობიანი მოსახლეობას აიძულებენ წითელი და თეთრი სამკლაურები ატარონ და მათ საცხოვრებელ სახლებზე აღმართონ თეთრი ალაში. რუსი ჯარისკაცები წითელ და თეთრ ფერებს იყენებენ მაიდენტიფიცირებელ სიმბოლოებად.

მედია. ხარკოვის სატელევიზიო ანძას მოხვდა ბომბი რის შემდეგაც ტრანსლაცია დროებით შეჩერდა. იგივე სცენარი განმეორდა კიევიში, ხერსონში და მელიტპოლში. კომუნიკაციის შეჩერების თავიდან ასარიდებლად ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტრომ სატელევიზიო ტრანსლაციის სერვისი ჩაუშვა ეროვნულ აპლიკაციაში. ეროვნული [Diia](#) აპლიკაციის მომხმარებლებს ახალ შეუძლიათ უკრაინულ სატელევიზიო არხებს ადვენონ თვალი. კვირას რუსი ჯარისკაცები [თავს დაესხნენ და გაქურდეს](#) შვედი ჟურნალისტი, გულიაუმე ბირქეთი, მას ნაართვეს მასზედ არსებული ფული, ჩაფხუტი, შეგროვებული ვიდუო მასალა და პირადი ჟურნალი. ასევე ბრიტანული [სკაი ნიუსის](#) ჟურნალისტები მოხვდნენ სროლისქვეშ და დაშავდნენ როდესაც თავდასხმისგან თავისდაღწევას ცდილობდნენ.

დეზინფორმაცია. რუსეთი უკრაინულ მხარეს მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის შეფერხებაში ადანაშაულებს. ამრიგად, რუსული მედია ირწმუნება, რომ აზოვის ბოვიკებმა ჩამოაგდეს მშვიდობიანი მოქალაქეების კოლონა, რომლებიც მარიუპოლის დატოვებას ცდილობდნენ დერეფნის გასწვრივ, არიან დალუპულები და დაჭრილები. მათი თქმით, მარიუპოლიდან მოსახლეობის ევაკუაციის მეორე მცდელობა ჩაიშალა უკრაინის ხელისუფლების დუმილის რეჟიმის გადაცემის შესახებ, დეზინფორმაციის გამო. რუსეთი ასევე იუწყება, რომ უკრაინული მხარე კატეგორიულად უარყოფს თანამშრომლობას ხარკოვისა და სუმის მაცხოვრებლების ევაკუაციის საკითხზე. გარდა

ამისა, რუსეთი ამტკიცებს, რომ უკრაინაში "რადიკალები" ახორციელებენ ეთნიკურ წმენდას: "ბოვიკებს გაურკვეველი მიმართულებით მიჰყავთ ადამიანები, რომლებსაც უკრაინული პასპორტები არ აქვთ".

ჯანდაცვა. ომის დაწყებიდან უკრაინაში [34 საავადმყოფო დაზიანდა](#), რომელთაგან ზოგიერთი ვეღარ შეძლებს ფუნქციონირებას. საავადმყოფოზე თავდასხმები არღვევს ჟენევის კონვენციას 6 დებულებას. საკრუიზო რაკეტა უკრაინის ყველაზე დიდ ბავშვთა ჰოსპიტალს „ოჰმატდიტს“ მოხვდა. შედეგად დაზიანდა ფანჯრები და კარები. არავინ დაშავებულა. გარდა ამისა, ოკუპანტები აფერხებენ საავადმყოფოში დაზარალებულების გადაყვანას. საომარი მოქმედებების შედეგად მძიმედ დაჭრილ ბავშვებს ევაკუაციის მცდელობა იყო, მაგრამ დაბომბვის საფრთხის გამო ვერ მოხერხდა. ამასობაში COVID-19 პანდემია აგრძელებს გავრცელებას, თუმცა ტესტირება და მონაცემთა შეგროვება ძალიან შეზღუდული და არაზუსტია. ყოველდღიურად 6-7 ათასი შემთხვევა ფიქსირდება, მათ შორის ჰოსპიტალიზებულია 600-700 ადამიანი.

ენერგეტიკული უსაფრთხოება. [ჰუტინმა გამოაცხადა](#) მზადყოფნა მონანილობა მიიღოს ატომური ენერჯის საერთაშორისო ასოციაცია-რუსეთი-უკრაინის სამხრეთ შეხვედრაში. შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს ონლაინ ან მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე.

ბიზნესი ომის დროს. [ევროპის ბიზნეს ასოციაციის](#) მონაცემებით, უკრაინული ბიზნესების ნახევარზე მეტი აგრძელებს მუშაობას ომის დროს. ბიზნესის 63% აგრძელებს თანამშრომელთა ხელფასების სრულად გადახდას, ხოლო 45% დამატებით გადახდას. თანამშრომლების მხარდასაჭერად, ბიზნესი იხდის ხელფასს ერთი თვით ან მეტით ადრე, ასევე უნაზღაურებენ თანამშრომლებს გადაადგილების ხარჯებს, საცხოვრებელ ქირას დასაველეთ უკრაინაში ან მის ფარგლებს გარეთ, ასევე უზრუნველყოფენ დაზღვევას მათთვის, ვინც აგრძელებს სამსახურში სიარულს. უკრაინაში დაფუძნებული ბიზნესი ცდილობს უკრაინას ომის დროს ფინანსურად დაუჭიროს მხარი, ასევე მხარს უჭერენ თანამშრომლებს, რომლებიც იცავენ ქვეყანას, აწვდიან საქონელს, მომსახურებას, მედიკამენტებს ან დაცვის/თავდაცვის საშუალებებს.

საკვების უსაფრთხოება. უკრაინა [დროებით აჩერებს](#) სასურსათო უსაფრთხოებისთვის გადამწყვეტი პროდუქციის ექსპორტს: ჭვავი, შვრია, წინიბურა, ფეტვი, ხორცი, შაქარი, მარილი. ეკონომიკის სამინისტრომ ხორბლის, სიმინდის, ზეთის, ფრინველის და ქათმის კვერცხის ექსპორტზე სპეციალური ნებართვები უნდა გასცეს.

აგრესორის იზოლაცია გრძელდება. [American Express-მა](#) გამოაცხადა რუსეთში ყველა ოპერაციების შეჩერება, რითაც მათი ბარათები აღარ იმუშავებს სავაჭრო ქსელებსა და ბანკომატებში რუსეთის ტერიტორიაზე. ასევე, კომპანიამ გამოაცხადა ოპერაციების შეჩერება ბელორუსიაში. ასევე [Financial Time-ის](#) ინფორმაციით [PwC](#) და [KPMG](#) დატოვა რუსეთის და ბელორუსიის ბაზარი. სამხრეთ კორეამ შეაჩერა ტრანზაქციები რუსეთის ცენტრალურ ბანკთან. ეს არის რუსეთის ფედერაციის მიმართ დაწესებული ფინანსური სანქციების ნაწილი. რადიო თავისუფლების კორპორაციამ (RFE/RL) შეაჩერა საქმიანობა რუსეთის ფედერაციაში. [TikTok-მა](#) შეაჩერა მუშაობა რუსეთის ფედერაციაში „ყაღები ახალი ამბების შესახებ“ რუსეთის კანონის გამო. [Spotify-მა](#) გამოაცხადა, რომ [Premium](#) გამოწერა აღარ არის ხელმისაწვდომი რუსეთში [Mastercard-ისა](#) და [Visa-ს](#) გამოსვლის გამო. კომპანიამ ოფისი ქვეყანაში ორი დღის წინ დახურა. [Netflix](#) აღარ ემსახურება მომხმარებლებს რუსეთში უკრაინის შემოჭრის ფონზე.

ხელოვნება: სოლიდარობის ნიშნად, დღეს 40-ზე მეტი მხატვარი შეიკრიბა რიგაში და ქალაქის კედლები მოხატეს უკრაინის მხარდასაჭერი ნამუშევრებით (ვესტასის ქუჩა). [სიმბოლური](#) სპექტაკლი გაიმართა სოლომონ რ. გუგენჰაიმის მუზეუმში, რომელიც მოუწოდებდა უკრაინის საჰაერო სივრცეში ფრენების აკრძალვას.

მომავალი ღონისძიებები:

- მოლაპარაკებების 3 რაუნდი, 7 მარტი.
- 7-8 მარტს, [უკრაინის დეოვგაცია გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში](#). ჰააგაში, სიტყვით გამოვა, რათა რუსეთი სასამართლოს წინაშე წარდგეს უკრაინის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის.

სტატისტიკა:

- [ბავშვთა უფლებების დაცვის ომბუდსმენის](#) ინფორმაციით, რუსეთის ომში 38 ბავშვი დაიღუპა, 71 დაიჭრა.
- 2022 წლის 24 თებერვლიდან უკრაინაში 211 სკოლა განადგურდა.
- 650 000 უკრაინელი რჩება ელექტროენერჯის გარეშე მიმდინარე ომის გამო, ამბობს [MinEnergო](#).
- ომის დროს უკრაინაში თითქმის 4000 ახალი ოჯახი დარეგისტრირდა და 4311 ბავშვი დაიბადა, ამბობს [MinJustice](#).
- ომის დაწყებიდან უკრაინაში 140 000 მოქალაქე დაბრუნდა, მეტი.
- დაახლოებით 20 000 უცხოელმა 52 ქვეყნიდან, მათ შორის ყოფილმა [ბრიტანელმა](#) საზღვაო ქვეითებმა, განვერიანდა უკრაინის ტერიტორიული თავდაცვის საერთაშორისო ლეგიონში.
- უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა გამოაცხადა რუსი სამხედროების საერთო სავარაუდო დანაკარგები 2022 წლის 7 მარტის დილის 6 საათისთვის: ჯარი - 11 000-ზე მეტი, ტანკები - 290, APV - 999, საარტილერიო სისტემები - 117, MLRS - 50, საზენიტო საბრძოლო სისტემა - 23, თვითმფრინავი - 46, შვეულმფრენი - 68, მანქანები - 454, მსუბუქი სიჩქარის კატარლები - 3, სანავის ავზები - 60, უპილოტო საფრენი აპარატების ოპერატიულ-ტექნიკური დონე - 7.

ყველა ქმედება მნიშვნელოვანია, რაც არუნდა მცირე!!

- ტარტუს უნივერსიტეტმა დააარსა სასტიპენდიო ფონდი უკრაინელი სტუდენტების სწავლის მხარდასაჭერად. [გაიღეთ შემოწირულობა](#) უკრაინელი სტუდენტების მიერ სწავლის გასაგრძელებლად.
- გამოაქვეყნეთ შეტყობინებები უკრაინის საჰაერო სივრცის საფრენად აკრძალული ზონად გამოცხადების შესახებ, რათა შეწყდეს რუსეთის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა და უზრუნველყოს ისეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება, როგორცაა ატომური ელექტროსადგურები. გამოიყენეთ **#closethesky**.
- გაუზიარეთ ბრიფინგის ჩანაწერი თქვენს ადგილობრივ მედიასა და გადანაცვლებების მიმღებები ორგანოების წარმომადგენლებს.

მადლობას გიხდით უკრაინის მხარდაჭერისათვის! დიდება უკრაინას!